TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის მიერ
2023 წლის N190-1 ბრძანებით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტების გაცვლით პროექტებში შერჩევის წესი

TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორი	ბრძანება N 190-1	20.12.2023

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესით.

გაცვლით პროექტებში/საზაფხულო სკოლებში/საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობისათვის სტუდენტის შერჩევის წესი

მუხლი 1. გაცვლით პროექტებში/საზაფხულო სკოლებში/საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობისათვის სტუდენტის შერჩევის კრიტერიუმები

1.1 შერჩევის პირობები:

1.1.1 GPA, ინგლისური ენის ცოდნის დონე და რეკომენდაციები/ექსტრაკურიკულური აქტივობები.

1.1.2 კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსა-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომელთა GPA არის არანაკლებ 2.0.

1.2 კლინიკურ სტაჟირებაში (თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში) უპირატესობა ენიჭებათ უფროსკურსელებს ან/და იმ სტუდენტებს, რომლებსაც არ უსარგებლიათ აღნიშნული სახის (სემესტრული, ზაფხულის სკოლა, ზამთრის სკოლა) გაცვლითი პროგრამით ან სტაჟირებით იმავე პარტნიორ უნივერსიტეტში.

1.3 კრიტერიუმების შეფასება:

GPA - მაქსიმუმ 20 ქულა

4,0	20 ქულა
3,7-3,9	15 ქულა
3,4-3,6	10 ქულა
3,0-3,3	5 ქულა
2.0-2,9	1 ქულა

ინგლისური ენის ცოდნა - მაქსიმუმ 10 ქულა. მისი შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე, შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ:

ძალიან კარგი	10 ქულა
საშუალო	5 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	0 ქულა

სარეკომენდაციო წერილი/ექსტრაკურიკულური აქტივობები: მაქსიმუმ 10 ქულა

განსაკუთრებული	10 ქულა
დამაკმაყოფილებელი	5 ქულა
არ აქვს	0 ქულა

უკვე ნამყოფი აღნიშნულ სტაჟირებაზე – მინუს 20 ქულა.

მუხლი 2. გაცვლით პროექტებში/საზაფხულო სკოლებში/საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობისთვის სტუდენტის შერჩევის პროცედურა

2.1 გაცვლით პროექტებში/საზაფხულო სკოლებში/საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობისათვის სტუდენტების შერჩევა ხორციელდება კომისიის მიერ, რომელიც იქმნება რექტორის ბრძანებით;

2.2 შერჩევის კრიტერიუმების შესაბამის დოკუმენტებს სტუდენტი წარუდგენს თსა-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, რომელიც რექტორის მიერ შექმნილ კომისიას გადასცემს იმ სტუდენტთა სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

2.3 კომისია განიხილავს წარმოდგენის დოკუმენტებს, ჩაატარებს გასაუბრებას მობილობის მსურველ ყველა სტუდენტთან და განახორციელებს შეფასებას წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

2.4 თუ წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმებით შერჩევის შემდეგ, სტუდენტის ქცევა არ შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს, კომიტეტი იტოვებს უფლებას შეზღუდოს სტუდენტის მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

3.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს რექტორი

3.2 წინამდებარე წესი ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე.

3.3 წინამდებარე წესში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.